Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№30, ივლისი, 2025

სამოქალაქო აქტივიზმის ძალა ჰიბრიდულ რეჟიმებში: სერბეთისა და საქართველოს 2024 წლის პროტესტების შედარებითი ანალიზი

ნინო ბერკაცაშვილი

მარიამ ტუღუში

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nino.berkatsashvili409@sps.tsu.edu.ge

E-mail: mariam.tughushi102@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ჰიბრიდული რეჟიმები, სადაც ავტორიტარული მმართველობა დემოკრატიული ფორმებითაა შენიღბული, 21-ე საუკუნის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც საბჭოთა მემკვიდრეობამ და დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტემ შექმნა ავტორიტარიზმის განმტკიცების საფუძველი. ჰიბრიდული რეჟიმების ინსტიტუციურ მოწყობაზე არსებული კვლევების მიუხედავად, ნაკლებადაა შესწავლილი სამოქალაქო პროტესტის წარმოშობა და მისი როლი მმართველობის ტრანსფორმაციის პროცესში.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, გააანალიზოს, როგორ იბადება სამოქალაქო პროტესტი მსგავს რეჟიმებში და გამოავლინოს მისი ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ამოცანები შემდეგი სახით ფორმულირდა: შესწავლილ იქნას სერბეთსა და საქართველოში 2024 წლის პროტესტების გამომწვევი მიზეზები და განვითარების დინამიკა; შეფასდეს სახელმწიფოს რეაგირება და საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ფორმები; იდენტიფიცირდეს საერთაშორისო მხარდაჭერისა და მედიის როლი პროტესტების გაძლიერებაში.

სერბეთისა და საქართველოს 2024 წლის საპროტესტო მოვლენების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ სერბეთში სტუდენტური გამოსვლები დასრულდა პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის გადადგომით, რაც პასუხისმგებლობის აღების იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. საქართველოში „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ პროტესტმა გააძლიერა დემოკრატიული ღირებულებების დაცვის ნარატივი, მაგრამ ვერ გამოიწვია მმართველი რგოლის ცვლილება. კვლევა ასკვნის, რომ ჰიბრიდულ რეჟიმებში აქტივიზმი ჩნდება თავისუფლების შეზღუდვის განცდის ფონზე, თუმცა სისტემური ცვლილებისთვის საჭიროა საერთაშორისო მხარდაჭერა, ელიტების განხეთქილება და ძლიერი საზოგადოებრივი კონსენსუსი.

საკვანძო სიტყვები: *სამოქალაქო აქტივიზმი, ჰიბრიდული რეჟიმები, სერბეთი, საქართველო, პოლიტიკური პროტესტი*;

შესავალი

21-ე საუკუნეში ჰიბრიდული რეჟიმები პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვლევით მიმართულებად ჩამოყალიბდა. ლარი დაიმონდის (2002), ასევე სტივენ ლევიცკისა და ლუკან ვეის (2010) ნაშრომებში ხაზგასმულია, რომ ჰიბრიდული რეჟიმი წარმოადგენს მმართველობის ისეთ ფორმას, სადაც ავტორიტარული მმართველობა შენიღბულია დემოკრატიული ინსტიტუტებით. ასეთ რეჟიმებში არჩევნები ტარდება, მაგრამ პოლიტიკურ პლურალიზმსა და სამოქალაქო თავისუფლებას რეალური ძალაუფლება არ გააჩნია, რადგან გადაწყვეტილებები მმართველი ელიტების ვიწრო წრეში ფორმირდება. აღნიშნული რეჟიმები დემოკრატიის ფორმალური ატრიბუტების შენარჩუნებით ცდილობენ საერთაშორისო ლეგიტიმაციის მოპოვებასა და შიდა ოპოზიციის დისკრედიტაციას, რაც მათ ძლიერ სტაბილურობას ანიჭებს. არსებული კვლევები აჩვენებს, რომ ასეთ სისტემებში, სადაც მედია, სასამართლო და ოპოზიცია მხოლოდ ფორმალურად ფუნქციონირებს, სამოქალაქო აქტივიზმი და ქუჩის პროტესტი ხშირად რჩება მმართველ ელიტაზე ზეწოლის მთავარ ბერკეტად (Howard, 2006). საქართველოსთან ერთად სერბეთის მოვლენების განხილვა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ორივე ქვეყანას გააჩნია გარდამავალი დემოკრატიის გამოცდილება. ამ კვლევის შედარებითი ჩარჩო განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველო და სერბეთი ჰიბრიდული რეჟიმების მაგალითებს წარმოადგენენ. ორივე ქვეყანამ დემოკრატიზაციის გზაზე განვლო მსგავსი პროცესები: თავისუფალი არჩევნების ფორმალური არსებობა, მედიისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის შეზღუდვა და სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2024 წელს საქართველოში და სერბეთში მომხდარი პროტესტები ერთნაირი მოტივაციით გამოირჩეოდა - უსამართლო საარჩევნო პრაქტიკის, კორუფციისა და ხელისუფლების არალეგიტიმური ნაბიჯების წინააღმდეგ ბრძოლით. ამავე დროს, ორივე შემთხვევაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ახალგაზრდული ჯგუფებისა და სამოქალაქო აქტივისტების ჩართულობა. სწორედ ეს პარალელები განაპირობებს საქართველოსა და სერბეთის ერთად განხილვას და არა სხვა ქვეყნის მაგალითს. სერბეთი და საქართველო 1990-იანი წლებიდან მოყოლებული იმყოფებიან პოლიტიკური არასტაბილურობის, ეკონომიკური კრიზისებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების რთულ პროცესში. მათი როგორც სახელმწიფოს განვითარება კი მნიშვნელოვანწილად ემყარება ისეთი გამოწვევების გადალახვას, როგორიც არის ავტორიტარული მემკვიდრეობის დაძლევა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვა. აღსანიშნავია 2024 წლის მასობრივი სამოქალაქო გამოსვლები, რომლებმაც ორივე ქვეყანაში საზოგადოების წინააღმდეგობისა და პოლიტიკური მობილიზაციის მსგავსი სტრატეგიები წარმოაჩინა. საქართველოსა და სერბეთში პროტესტები არა მარტო კონკრეტული პოლიტიკური გადაწყვეტილებისკენ იყო მიმართული, არამედ გამოხატავდა დემოკრატიული პრინციპების დაცვის მოთხოვნას. სწორედ ამ მსგავსების გამო სერბეთის გამოცდილება ცხადყოფს, რომ განსხვავებული ისტორიული ფონის მიუხედავად, გარდამავალი დემოკრატიების განვითარებას შესაძლოა ჰქონდეს საერთო დინამიკა. ამის მიუხედავად, დღემდე ნაკლებად არის გაანალიზებული, თუ რა პირობებშია სამოქალაქო აქტივიზმი შედეგის მომტანი ჰიბრიდული რეჟიმების დროს და როგორ რეაგირებს სახელმწიფო მსგავს მობილიზაციაზე. ზოგიერთი პროტესტი წარმოშობს მყისიერ პოლიტიკურ ცვლილებებს, როგორც ეს სერბეთის მაგალითზე ვიხილეთ, ზოგ შემთხვევაში კი მას აქვს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა, რაც ნიშანდობლივია საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე პროტესტებისთვის.. გარდა ამისა, განსაკუთრებით მწირია შედარებითი ანალიზები, რომლებიც

განიხილავს პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნებში განვითარებული საპროტესტო მოძრაობების მნიშვნელობას მმართველობის ფორმებზე, იკვლევს მათ დინამიკას, წარმატებას ან წარუმატებლობას. აგრეთვე იმას, თუ როგორ მოქმედებს საერთაშორისო გარემო და დასავლური სტრუქტურების პოზიცია საპროტესტო მოძრაობების შედეგებზე. საჭიროა ყურადღება მიექცეს იმასაც, რომ ჰიბრიდული რეჟიმების კვლევისას არაერთხელ გაჩნდა დებატები სამოქალაქო საზოგადოების რეალურ გავლენაზე და იმაზე, იწვევს თუ არა ქუჩის პროტესტი სისტემურ ცვლილებებს, თუ მხოლოდ ნარატიულ სიმბოლურ მნიშვნელობას ინარჩუნებს. მსგავსი დებატები მნიშვნელოვანია, რადგან ის ასახავს კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას და უკავშირდება დემოკრატიზაციის ზოგად პროცესებს. ამ პირობებში სამოქალაქო აქტივიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოქალაქეების ერთობლივი მოქმედება, რომლის მიზანია ხელისუფლებაზე ზეწოლა და ხალხის ინტერესების დაცვა მაშინ, როცა ოფიციალური ინსტიტუტების ქმედება ეფექტური აღარაა. ჰიბრიდული რეჟიმების პირობებში ის იქცევა სივრცედ, სადაც საზოგადოება აჟღერებს საკუთარ ხმას. ქართულ რეალობაში სამოქალაქო აქტივიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად ის ერთადერთი გზაა დემოკრატიული ღირებულებებისა და ფუნდამენტური უფლებების შესანარჩუნებლად.

საკვლევ პრობლემას წარმოადგენს იმის გარკვევა, რომ ჰიბრიდულ რეჟიმებში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები მხოლოდ ფორმალურად მოქმედებს, ძნელია განსაზღვრა, თუ რა გარემოებაში გახდება სამოქალაქო პროტესტი შედეგის მომტანი და როგორ პასუხობს სახელმწიფო მსგავს გაერთიანებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროტესტი ცდილობს სისტემური ცვლილებების გამოწვევას და არსებულ ძალაუფლებრივ სტრუქტურებზე ზემოქმედებას. გარდა ამისა, კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის მობილიზაცია არის უფრო ეფექტიანი ასეთ რეჟიმებში - მასობრივი და სპონტანური გამოსვლები, თუ კარგად ორგანიზებული და სტრატეგიულად დაგეგმილი კამპანიები. ასევე, საჭიროა იმის ანალიზიც, თუ როგორ მოქმედებს საერთაშორისო ზეწოლა და მხარდაჭერა პროტესტის შედეგიანობაზე და როგორ ცდილობს ხელისუფლება ამ მხარდაჭერის დისკრედიტაციას შიდა პროპაგანდის გზით. ამასთან ერთად, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ჰიბრიდულ რეჟიმებში არსებული საზოგადოებრივი განწყობების ღრმა ანალიზიც, რათა გაირკვეს, რა როლს ასრულებს ისტორიული მეხსიერება, კოლექტიური ტრავმები, კულტურული ნარატივები და იდენტობის პოლიტიკა სამოქალაქო მობილიზაციის ფორმირებასა და რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის გაწევაში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ჰიბრიდული რეჟიმები წარმოადგენს ისეთ პოლიტიკურ რეჟიმს, სადაც ფორმალურად არსებობს დემოკრატიული მექანიზმები, როგორიც არის არჩევნები და მრავალპარტიულობა, მაგრამ რეალურად ხელისუფლება ამ ინსტიტუტებს აკონტროლებს ისე, რომ ძალაუფლება კვლავ ხელისუფლების ხელშია კონცენტრირებული. ეს არის რეჟიმი, რომელიც თავისი არსით მოიცავს როგორც დემოკრატიული,ისე ავტორიტარული რეჟიმის ელემენტებს.

ჰიბრიდული რეჟიმების კონცეფციის გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როდესაც ვაკვირდებით თანამედროვე სახელმწიფოების პოლიტიკურ დინამიკას, რადგან ისინი

ხშირად იკავებენ ადგილს დემოკრატიისა და ავტორიტარიზმს შორის არსებულ სივრცეში, ქმნიან რთულ და არასტაბილურ პოლიტიკურ რეალობას. საქართველოსა და სერბეთის მაგალითები ცხადყოფს მსგავსი რეჟიმების თავისებურებებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანაში არსებობს დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ინსტიტუტები, პოლიტიკური ძალის ცენტრალიზაცია მმართველი ჯგუფის მიერ, სასამართლოსა და მედიის თავისუფლების შეზღუდვა ამ დემოკრატიულს ინსტიტუტებს რეალურ როლს უკარგავს. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია 2024 წლის პროტესტების ფონზე, როდესაც ორივე ქვეყანაში მასობრივმა სამოქალაქო მობილიზაციამ ნათლად აჩვენა, რომ მოქალაქეები აღარ კმაყოფილდებიან მხოლოდ ფორმალური დემოკრატიული მექანიზმებით, არამედ ცდილობენ გააქტიურებული პროტესტით ზემოქმედება მოახდინონ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. გარდა ამისა, ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ჰიბრიდული რეჟიმების პირობებში სამოქალაქო აქტივიზმის ეფექტურობა სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, საერთაშორისო კონტექსტზე, პოლიტიკური კულტურის თავისებურებებსა და რეჟიმის მხრიდან პროტესტის მართვის ტაქტიკაზე.

ლარი დაიმონდი (2002) პირველად გამოკვეთს „ჰიბრიდული რეჟიმის“ შინაარსს, როგორც რეჟიმის ტიპს, რომელიც იშვიათად ღალატობს დემოკრატიის ფორმალურ ინსტიტუტებს, მაგრამ არსებითად ვერ უზრუნველყოფს მათ ფუნქციონირებას. ის აღნიშნავს, რომ ჰიბრიდული რეჟიმები წარმოადგენენ ისეთ სისტემებს, რომლებიც დემოკრატიული მმართველობის ფორმებს ინარჩუნებენ მხოლოდ ზედაპირულად, მაშინ როდესაც რეალური ძალაუფლება კონცენტრირებულია მმართველი ელიტების ხელში და არ არსებობს საკმარისი პოლიტიკური კონკურენცია, მედიის თავისუფლება და სამოქალაქო ჩართულობა. დაიმონდი ამტკიცებს, რომ ჰიბრიდული რეჟიმები გამიზნულად იყენებენ დემოკრატიის ზედაპირულ ნიშნებს (არჩევნები, კონსტიტუციური ფორმები, პლურალიზმის იმიტაცია), რათა შეინარჩუნონ საერთაშორისო ლეგიტიმაცია, თუმცა რეალურად პოლიტიკური კონტროლი კონცენტრირებულია მმართველი ელიტების ხელში. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთ რეჟიმებში სამოქალაქო საზოგადოება განიცდის ზეწოლას და მობილიზაციის შესაძლებლობებიც მკვეთრად შეზღუდულია, თუმცა არ არის სრულიად აღმოფხვრილი (Diamond, 2002). სწორედ ეს ხსნის იმ ფენომენს, რასაც ავტორი „მოწყვეტილ ლეგიტიმაციას“ უწოდებს, რომლის პირობებშიც ხელისუფლება აღარ ფლობს ზნეობრივ ძალას მოქალაქეთა თვალში, რაც განაპირობებს პროტესტის აფეთქებას კონკრეტულ კრიზისულ მომენტებში. დაიმონდის ჩარჩო განსაკუთრებული ღირებულების მატარებელია, რადგან იგი გვთავაზობს ანალიტიკურ საფუძველს ისეთი ქვეყნების შესასწავლად, რომლებიც დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის მახასიათებლებს შორის მერყეობენ. ამ ჩარჩოს მეშვეობით შესაძლებელი ხდება პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური რეალობის უკეთ აღქმა. ამის მიუხედავად, ავტორის მიდგომა ნაკლებ ყურადღებას უთმობს მსგავს სისტემებში სამოქალაქო წინააღმდეგობის ჩასახვისა და განვითარების იდეას, რაც არსებითად მნიშვნელოვანი პუნქტია სერბეთისა და საქართველოს მაგალითების გასააზრებლად, სადაც სამოქალაქო პროტესტმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა პოლიტიკური ცვლილებების პროცესში. ამის გათვალისწინებით, განხილულ იქნა ლევიტსკისა და ვეის (2010) მიერ შემუშავებული ,,კონკურენტული ავტორიტარიზმის" თეორიული ჩარჩო, რომელიც გვთავაზობს ტიპოლოგიას, რომლის მიხედვითაც ჰიბრიდულ რეჟიმებში კონკურენცია რეალურად არსებობს, თუმცა არათანაბარ პირობებში. ხელისუფლება სისტემატურად იყენებს ინსტიტუციურ და ადმინისტრაციულ უპირატესობებს, რათა შეზღუდოს ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება.

ლევიტსკისა და ვეის თქმით, ასეთი რეჟიმები განსაკუთრებით მგრძნობიარეა შიდა კრიზისებისა და სამოქალაქო ზეწოლის მიმართ, თუმცა დემოკრატიამდე მისვლა მხოლოდ პროტესტით ვერ ხერხდება და საჭიროებს ფართომასშტაბიან საერთაშორისო წნეხსა და შიდა ელიტების განხეთქილებას. ავტორები ასახელებენ იმ პირობებს, სადაც სამოქალაქო პროტესტს შეუძლია პოლიტიკური ცვლილების ინიცირება. ეს გახლავთ: ეკონომიკური ან პოლიტიკური კრიზისი, ხელისუფლების შიგნით ელიტების გახლეჩა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება (Levitsky, et al., 2010). მათი მიდგომის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ხაზს უსვამს არათანაბარი პოლიტიკური თამაშის წესებსა და რეჟიმის მდგრადობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიული ტალღების შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ მათი მიდგომა უფრო ელიტაზეა ორიენტირებული და საზოგადოებრივ დინამიკას ვერ აფასებს, როგორც დამოუკიდებელ ძალას (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა პროტესტების შესასწავლად), მექანიზმების ანალიზი მაინც აქტუალურია საქართველოსა და სერბეთის შემთხვევებში. ორივე ქვეყანაში არსებობს პროტესტის მასშტაბური ტალღები, მაგრამ განსხვავდება მათი ეფექტურობის დონე.

სამოქალაქო აქტივიზმის როლი ამ სისტემებში ხშირად განიხილება როგორც მნიშვნელოვანი, თუმცა შეზღუდული ზეწოლის მექანიზმი. ჰოვარდი (2003) კვლევაში „The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe“ ამტკიცებს, რომ პოსტ-სოციალისტური საზოგადოებების უმეტესობაში სამოქალაქო კულტურა და აქტიური მოქალაქეობა კვლავ სუსტია, ეს კი ამცირებს პოლიტიკური ცვლილებების შესაძლებლობას. მისი არგუმენტის თანახმად, საბჭოთა მემკვიდრეობა, კორუფციის მაღალი დონე და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც მოქალაქეები ნაკლებად მონაწილეობენ ორგანიზებულ პოლიტიკურ თუ სამოქალაქო აქტივობებში (Howard,2003). ჰოვარდის კვლევა ეხმარება ამ კონკრეტულ ანალიზს განხილულ იქნას, რატომ უჭირთ ამ საზოგადოებებს პროტესტის ორგანიზება და დემოკრატიის კონსოლიდაცია. ამის მიუხედავად, კვლევის მომდევნო ეტაპებმა აჩვენა, რომ კრიზისულ მომენტებში პოსტ-სოციალისტური საზოგადოებებიც ავლენენ მძლავრი მობილიზაციის უნარს, როგორც ეს 2024 წელ მოხდა საქართველოში, რაც კულტურული სირთულეების მიუხედავად, საქაზოგადოებრივი მობილიზაციის პოტენციალზე მეტყველებს.

ამავე დროს, ტარუსა და ტილის (2015) ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია კოლექტიური ქმედებების დინამიკაზე. კოლექტიური ქმედების შესაძლებლობები იზრდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ლეგიტიმაცია კრიზისს განიცდის და პროტესტი იძენს მორალურ მნიშვნელობას. მათი კვლევის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ავტორები ფართო თეორიულ ჩარჩოს გვთავაზობენ, რომელიც აკავშირებს სოციალური მოძრაობების თეორიას, პოლიტიკურ პროცესებსა და მობილიზაციის მექანიზმებს. მათი ცენტრალური არგუმენტის თანახმად, სამოქალაქო მოძრაობები და პროტესტები ეფექტური ხდება მაშინ, როდესაც არსებობს რამდენიმე ფაქტორი: საერთო ნარატივი, სიმბოლური ქმედება და მოქნილი, ადაპტირებადი სტრუქტურა (Tilly, et al., 2015). ეს კონცეფციები პირდაპირ შეესაბამება 2024 წლის საქართველოს მოვლენებს, სადაც სტუდენტური პროტესტი გახდა ნარატივის შენების ძირითადი სივრცე (ევროპული მომავლის დაცვა) და აღიქმებოდა, როგორც ფართო პოლიტიკური კულტურის გამოხატულება, მიუხედავად მმართველი პარტიის დისკრედიტაციის მცდელობებისა. ავტორების ამგვარი მიდგომა მკაფიოდ აჩვენებს, რომ მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური კრიზისი საკმარისი არ არის პროტესტის წარმატებისთვის, თუ იგი არ ღრმავდება საერთო იდეებსა და იდენტობაში.

როგორც უკვე აღინიშნა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოსტ-საბჭოთა სივრცის სპეციფიკა. პეტროვიჩ ვუკელიჩისა და სტანოიევიჩის (2020) კვლევა ერთ-ერთი ყველაზე ღირებული ემპირიული ანალიზია, რომელიც განიხილავს ახალგაზრდების პოლიტიკურ აქტივიზმს სერბეთში. ავტორები ეყრდნობიან 2,200-ზე მეტი რესპონდენტის გამოკითხვას და წარმოაჩენენ რამდენიმე მნიშვნელოვან ტენდენციას. პირველ რიგში, მათი დაკვირვებით, სერბეთში ახალგაზრდები ნაკლებად უკავშირდებიან ტრადიციულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, როგორიცაა პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანება, უშუალო კავშირი პოლიტიკოსებთან და სხვა პოლიტიკური ჩართულობის კლასიკური ფორმები. ამის ნაცვლად, ისინი ირჩევენ ალტერნატიულ საშუალებებს, როგორიცაა მომხმარებლური ბოიკოტი, ონლაინ პეტიციების შეგროვება, მცირე მობილიზაციები და სამოქალაქო მღელვარების სიმბოლური აქტები. ავტორების მიხედვით, ასეთი გადასვლა განპირობებულია იმედგაცრუებით პარტიული პოლიტიკის მიმართ, რომელიც ხშირად ასოცირდება კორუფციასთან. ამ ცვლილების მიზეზად ავტორები ასახელებენ იმედგაცრუებას ტრადიციული პოლიტიკის მიმართ და სურვილს, აირჩიონ მნიშვნელობით დატვირთული და ღირებულებებზე დაფუძნებული აქტივიზმის გზები. კვლევა ასევე ხაზს უსვამს ჰიბრიდული რეჟიმების შეზღუდვებს. გარდა ამისა, კვლევა დეტალურად განიხილავს ჰიბრიდული რეჟიმების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს, რომლებიც აფერხებს მასშტაბურ პროტესტებს. სერბეთის შემთხვევაში, ქუჩის დემონსტრაციები და საჯარო სივრცეების დაკავება ხშირი არ არის, რაც განპირობებულია იმ გარემოთი, სადაც მოქმედებს პოლიტიკური ზეწოლის მექანიზმები: ძალადობის გამოყენების საფრთხე, სამუშაოს დაკარგვის შიში, სოციალურ მედიაში დისკრედიტაციის რისკები და სახელმწიფოს მეთვალყურეობის პრაქტიკა. ასეთ კონტექსტში აქტივისტები ირჩევენ ნაკლებად რადიკალურ ან ,,უსაფრთხო" მონაწილეობის ფორმებს, რომლებიც საზოგადოებრივი წნეხის გამოხატვის საშუალებას აძლევს მათ დიდი პერსონალური რისკის გარეშე. ავტორები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმას, რომ ჰიბრიდულ რეჟიმებში აქტივიზმის სტრუქტურას არ განსაზღვრავს მხოლოდ მოქალაქეთა მოტივაცია ან პოლიტიკური ცნობიერება, არამედ ისიც, თუ რამდენად ღია და უსაფრთხოა სამოქალაქო სივრცე (Vukelić, et al., 2020).

საბოლოოდ, სერბეთის მაგალითი მყარ საფუძველს ქმნის საქართველოს გამოცდილებასთან შედარებისთვის. ორივე ქვეყანაში ახალგაზრდების მიერ არჩეული პროტესტის ფორმები მიუთითებს ჰიბრიდულ რეჟიმებში მოქმედების საერთო სტრატეგიებზე, სადაც სამოქალაქო აქტივიზმი პოლიტიკურ პირობებსა და რეჟიმის ტიპოლოგიას ემორჩილება. სერბეთის შემთხვევა აჩვენებს, რომ აქტივიზმი ხშირად მიემართება არატრადიციულ და სიმბოლურ პრაქტიკებს მაშინ, როდესაც კლასიკური ინსტიტუციური გზები ბლოკირებული ან საფრთხის შემცველია.

ხოშტარიასა და ფელშიფტერის (2024) კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთ უახლეს მცდელობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეთა დამოკიდებულებისა და მონაწილეობის ანალიზს საპროტესტო მოძრაობებში ჰიბრიდული რეჟიმის პირობებში. კვლევა ეფუძნება კავკასიის ბარომეტრის 2024 წლის რაოდენობრივ მონაცემებსა და ინტერვიუებს, რაც მას საქართველოს კონტექსტში უნიკალურ ემპირიულ ღირებულებას ანიჭებს. როგორც ავტორები მიუთითებენ,საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი(დაახლოებით 60%) მხარს უჭერს სამოქალაქო პროტესტს, აღიქვამს როგორც დემოკრატიული პროცესის განუყოფელ ნაწილს და სიმბოლურ აქტს, რომელიც ასახავს საზოგადოებრივ პოზიციას, მაგრამ რეალური მონაწილეობის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია და მხოლოდ 6%-ს შეადგენს, რაც ავტორების

შეფასებით, მიანიშნებს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც პროტესტისადმი ლეგიტიმაციის აღიარებასა და უშუალო ჩართულობას შორის არსებობს.

მკვლევრები ხაზს უსვამენ ქართული საზოგადოების პროტესტისადმი არსებული დამოკიდებულების განმაპირობებელ რამდენიმე ფაქტორს. პირველ რიგში, ეს გახლავთ პოლიტიკური აპათია და იმედგაცრუება, რომელიც დაკავშირებულია მმართველი ელიტებისადმი უნდობლობასთან და სახელმწიფოს მიერ დემოკრატიული მექანიზმების ფორმალურ გამოყენებასთან. ამ ყველაფერს ემატება პირადი უსაფრთხოების შიში, რომელიც ხშირად ხელს უშლის მოქალაქეების უშუალო ჩართულობას საპროტესტო მობილიზაციაში, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის ან ადმინისტრაციული დაკავების გამოცდილება არსებობს. განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორების მიერ გამოყოფილი ,,დისტანციური თანაგრძნობის" ფენომენი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები ღიად მხარს უჭერენ პროტესტის მიზნებს (მაგალითად უმეტესობა მხარდაჭერას მხოლოდ სოციალურ ქსელებში აცხადებს), მაგრამ თავად პროტესტში მონაწილეობისგან თავს იკავებენ. ეს ფენომენი უკავშირდება როგორც პასიურ სამოქალაქო პოზიციას, ისე მოლოდინს, რომ პროტესტი შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს მხოლოდ ფართო მასშტაბის მხარდაჭერის ან საერთაშორისო წნეხის შემთხვევაში. კვლევა ცალსახად გამოყოფს როგორც თბილისში, ისე რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების როლს საპროტესტო წინააღმდეგობის პროცესში, რაც დაკავშირებულია პროევროპული ფასეულობების ზრდასთან და ავტორიტარიზმის მიმართ მტკიცე ოპოზიციურ განწყობებთან. ავტორები მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდები არა მხოლოდ მობილიზაციის მთავარ ძალად გვევლინებიან, არამედ ისინი აქტიურად მონაწილეობენ ახალი პოლიტიკური დისკურსისა და ნარატივების ფორმირებაში ევროპული მომავლის დაცვის იდეის გარშემო. საბოლოოდ, ხოშტარიასა და ფელშიფტერის კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმი განპირობებულია არა მარტო პოლიტიკურ გარემოზე რეაგირებით, არამედ ღირებულებით და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესებით. აქტივიზმი ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ინსტრუმენტალური მიზნებისათვის გამოიყენება, არამედ წარმოადგენს მორალური თვითგამოხატვის საშუალებას, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს ჰიბრიდულ რეჟიმებში სამოქალაქო პროტესტის სიმბოლურ და კულტურულ მნიშვნელობას (Khoshtaria, et al., 2024).

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელია, რომ ჰიბრიდული რეჟიმების კვლევა მრავალფეროვან თეორიულ მიდგომას ეფუძნება. წინამდებარე წყაროები აჩვენებს, რომ ასეთ რეჟიმებში დემოკრატიის ფორმალური ინსტიტუტები ძირითადად მხოლოდ ლეგიტიმაციის შესანარჩუნებლად გამოიყენება, მაშინ როდესაც რეალური ძალაუფლება მმართველ ელიტებს ეკუთვნით და პოლიტიკური კონკურენცია, მედიის თავისუფლება თუ სამოქალაქო ჩართულობა საკმაოდ შეზღუდულია. ამასთან, მოცემული კვლევები ადასტურებს, რომ სამოქალაქო აქტივიზმს მსგავს პირობებში შეუძლია პოლიტიკური დღის წესრიგის დროებითი შეცვლა და საზოგადოებრივი ნარატივების გარდაქმნა, თუმცა სისტემური ცვლილებები იშვიათია. პოსტსაბჭოთა კონტექსტში, გარდა ისნტიტუციური და პოლიტიკური ფაქტორებისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროტესტის კულტურული და იდენტობითი განზომილება, რაც პროტესტს ანიჭებს სიმბოლურ დატვირთვას, მაშინაც კი, როდესაც იგი უშუალო პოლიტიკურ შედეგებს ვერ აღწევს. ჰიბრიდული რეჟიმების ანალიზი საჭიროებს ინსტიტუციური და კულტურული პერსპექტივების ერთობლივ განხილვას, რათა სრულად იქნას გაგებული სამოქალაქო პროტესტის როლი და პოტენციალი პოლიტიკური ცვლილებების პროცესში.

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, წინამდებარე კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია შედარებითი შემთხვევის ანალიზი, რომლის მიზანია ჰიბრიდული რეჟიმების კონტექსტში ორი შემთხვევის- საქართველოსა და სერბეთში მიმდინარე პროტესტების დეტალური შესწავლა. აღნიშნული მიდგომით, კონკრეტული შემთხვევების სიღრმისეული გაანალიზება იძლევა შესაძლებლობას, უკეთ გავიგოთ სამოქალაქო აქტივიზმის ფორმები, მოტივაცია და პოლიტიკური შედეგები. გარდა ამისა, შედარებითი ანალიზის მიდგომა იძლევა საშუალებას, იდენტიფიცირდეს მსგავსება-განსხვავებები, რათა ჰიბრიდულ რეჟიმებში სამოქალაქო აქტივიზმისა და როლის შესახებ ფორმულირდეს განზოგადებული დასკვნები.

კვლევის მეთოდის გათვალისწინებით საჭირო იყო ისეთი შემთხვევების შერჩევა, რომლებიც რეჟიმის ტიპის, პროტესტის მასშტაბისა და საერთაშორისო კონტექსტის მხრივ მეტწილად მსგავსია. ორივე ქვეყანა Freedom House-ის (2024) მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც „ნაწილობრივ თავისუფალი“ სახელმწიფოები, რაც მიუთითებს მათ ჰიბრიდულ ბუნებაზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში 2024 წელს განვითარდა მნიშვნელოვანი, მასშტაბური და ფართო რეზონანსის მქონე სამოქალაქო მობილიზაცია: საქართველოში ,,უცხოური გავლენის შესახებ" კანონპროექტის წინააღმდეგ საპროტესტო ტალღა, ხოლო სერბეთში- ნოვი სადის სადგურის ტრაგედიის შემდეგ მოქალაქეთა გამოსვლები, რომელთა შედეგი იყო მაღალი რანგის თანამდებობის პირების გადადგომა.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომლის პირობებშიც გაანალიზდა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის[1] ანგარიში, რისი მეშვეობითაც ნათლად გამოიკვეთა პროტესტების არქიტექტურა, განვითარების დინამიკა, დისკურსი და პოლიტიკური რეჟიმების რეაგირების სტრატეგიები. მონაცემების მოპოვების მთავარ მეთოდად გამოვიყენეთ ექსპერტული ინტერვიუირების მეთოდი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 ექსპერტული ინტერვიუ როგორც ქართველ სამოქალაქო აქტივისტებთან, ისე პოლიტიკის ექსპერტებთან, რისი საშუალებითაც საქართველოს შემთხვევის კონტექსტუალიზაცია შევძელით. ექსპერტული ინტერვიუების შემთხვევაში შევიმუშავეთ კვლევითი ინსტრუმენტი-ექსპერტული ინტერვიუს გზამკვლევი. ჩატარებული ინტერვიუები შეეხებოდა პროტესტის მოტივაციის ფაქტორებს, მობილიზაციის ფორმებსა და ორგანიზაციულ მახასიათებლებს, სახელმწიფოს რეაგირების სტრატეგიებს, სამოქალაქო ცნობიერების ტრანსფორმაციასა და შიშის დაძლევას. სერბეთის შემთხვევაში დავეყრდენით დოკუმენტებისა და მეორეული მონაცემების ანალიზს, რაც განპირობებულია ველის კვლევის პრაქტიკული შეზღუდვებით. ინტერვიუების გაანალიზებისას გამოიკვეთა ძირითადი თემები: სამოქალაქო იდენტობა და კულტურული თვითგადარჩენის განცდა, სახელმწიფო ძალადობის აღქმა და პროტესტზე რეაგირება, შიდა დაღლილობისა და გარედან მიღებული მხარდაჭერის მნიშვნელობა და საბოლოო ჯამში, ჰიბრიდულ რეჟიმში პროტესტის სიმბოლური მნიშვნელობა.

---

[1] 1 Freedom House. (2024). Freedom in the World 2024: Georgia Country Report. Retrieved from https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2024
2 Amnesty International. (2024). Georgia 2024: Human Rights Report. Retrieved from https://www.amnesty.org/en/location/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/

კვლევის ფარგლებში რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა არაალბათური, მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე, რომლის პირობებშიც გათვალისწინებული იყო მათი პროტესტში აქტიური ჩართულობისა და პროფესიული გამოცდილების ფაქტორები, კერძოდ: შერჩევის კრიტერიუმი იყო მათი უშუალო მონაწილეობა 2024 წლის საპროტესტო აქციებში, ორგანიზაციულ თუ საინფორმაციო საქმიანობაში. მათთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა მოგვცა შესაძლებლობა, შეგვესწავლა, როგორ აფასებენ პროტესტის სტრატეგიებს და სახელმწიფოს რეაგირებას.

ექსპერტების შემთხვევაში, შერჩევის კრიტერიუმი გახლდათ აკადემიური და ანალიტიკური გამოცდილება. კვლევა კონცენტრირებული იყო პოლიტიკური პროცესების გაანალიზებაზე, რაც საჭიროებდა იმ დარგის ექსპერტების ხედვას, რომლებიც უშუალოდ იკვლევენ ჰიბრიდულ რეჟიმებსა და პოლიტიკურ ცვლილებებს. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა კვლევაში პოლიტიკის ექსპერტების ინტეგრირება. წინამდებარე კვლევა გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში წარიმართა. კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ექსპერტული ინტერვიუები მხოლოდ ქართულ პროტესტთან შემხებლობაში მყოფ პირებთან ჩატარდა და ამ პარამეტრში ვერ დაფარა სერბი სამოქალაქო აქტივისტებისა თუ ექსპერტების პერსპექტივები. გარდა ამისა, დროითი ლიმიტიაციის გათვალისწინებით ვერ მოხერხდა უფრო მეტი ინტერვიუს ჩატარება, რაც მონაცემთა ანალიზს ბევრად უფრო გაამდიდრებდა. ამასთანავე, კვლევა არ ფარავს ქართველი სამოქალაქო ატივისტების ფართო ჯგუფს, რის გამოც ის ვერ ასახავს პროტესტის ფართო, სოციოლოგიურ ჭრილს.

ზემოთ ხსენებული კვლევითი შეზღუდვების მიუხედავად, წინამდებარე კვლევა იძლევა საშუალებას, ღრმად შევისწავლოთ და შევაფასოთ ჰიბრიდულ რეჟიმებში სამოქალაქო აქტივიზმის შინაარსი, სტრუქტურა, მოტივაცია და გამოწვევები. ამას გარდა, მოცემული კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეში არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა, რომელიც საქართველოში, ამჟამად მიმდინარე უწყვეტი პროტესტის ირგვლი მეცნიერული ცოდნის შექმნას ემსახურება.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც საქართველოს, ისე სერბეთის შემთხვევაში, საპროტესტო მუხტი კრიზისულ ეპიზოდებზე რეაგირებამ წარმოშვა, რასაც სრულად ადასტურებს ლიტერატურის მიმოხილვაში გამოკვეთილი მოსაზრება, რომლის თანახმადაც ჰიბრიდულ რეჟიმებში სამოქალაქო მობილიზაცია ყველაზე ხშირად ლეგიტიმაციის კრიზისის პირობებში იჩენს თავს.

სერბეთის პროტესტები 2024 წელს ძირითადად ლოკალურ და სტუდენტურ ჩარჩოებში ვითარდებოდა, თუმცა მათ მოჰყვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები: პრემიერ-მინისტრის, რამდენიმე მინისტრისა და ნოვი სადის მერის გადადგომა. აღნიშნული მიგნება ცხადყოფს, რომ კონკურენტული ავტორიტარიზმის პირობებში პროტესტს შეუძლია გამოიწვიოს ხელშესახები ცვლილებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში შიდა განხეთქილება და პასუხისმგებლობის აღების ინსტრუმენტები არსებობს. ეს შემთხვევა საყურადღებოა, რადგან ჰიბრიდულ რეჟიმებში მსგავსი პასუხისმგებლობის აღება იშვიათია. საქართველოს შემთხვევაში პროტესტებმა უფრო ფართო და მრავალფეროვანი სახე მიიღო. აქტივიზმმა მოიცვა სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფი, გააქტიურდა სამოქალაქო

საზოგადოება, გაიზარდა ხალხის მობილიზაცია და დემოკრატიული ღირებულებების დაცვის საერთო აღქმა ჩამოყალიბდა. ერთიანობისა და მორალური ლეგიტიმაციის შექმნა აჩვენებს, რომ კოლექტიური ქმედება ხდება ეფექტური, როდესაც მას გააჩნია სიმბოლური დატვირთვა და საერთო ნარატივი.

საპროტესტო მოძრაობამ ნათლად აჩვენა, როგორ გაიზარდა და გააქტიურდა ქართველი საზოგადოება. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო სიბრაზის საზომი მაინც შეზღუდულია: ***„ვბრაზდებით, მაგრამ სათანადოდ ვერასდროს ვერ ვბრაზდებით... 200-ზე მეტდღიანი პროტესტის შემდეგ ხელჩასაჭიდი შედეგი არ გვაქვს“ (ექსპერტი N2, 21.06.2025).*** სერბეთის შემთხვევაში საზოგადოებამ დასახულ მიზანს მიაღწია, საქართველოში პოზიტიური ნოტა ისაა, რომ პროტესტის მიმდინარეობა უწყვეტია.

ორივე ქვეყანაში მიმდინარე პროტესტის შედარებითი ანალიზისას გამოიკვეთა საერთაშორისო რეზონანსისა და რეაგირების ფაქტორი. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერამ გაამხნევა აქტივისტები, შექმნა მორალური ზეწოლა ხელისუფლებებზე და გააძლიერა პროტესტის ლეგიტიმაცია. საქართველოს შემთხვევაში სანქციები აღიქმებოდა, როგორც დემოკრატიული მხარდაჭერა, თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ სანქციებით რეალურად ისევ მოსახლეობა ზარალდება, მაშინ როცა ხელისუფლება ახერხებს, თავი აარიდოს გარკვეულ სანქციებს (ექსპერტი N5, 19.06.2025). ასევე გამოიკვეთა, რომ საქართველოში ხელისუფლება რეალურ ცვლილებებს გაურბის, პროპაგანდისა და შიშზე დაფუძნებული მმართველობის მექანიზმებით ცდილობს პროტესტის დისკრედიტაციასა და ჩახშობას.

ყველა ზემოთქმული დაბრკოლების მიუხედავად კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი მიგნება - პროტესტებმა ორივე სახელმწიფოში გაზარდა მოქალაქეების პოლიტიკური თვითშეგნება, გააძლიერა სამოქალაქო ცნობიერება და წარმოშვა ერთიანობის განცდა. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში 2024წლის პროტესტების პერიოდში აქტივისტებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოების ემოციურმა მდგომარეობამ: ***„ყველაზე მტკივნეული ჩემი მეგობრების და თანამოაზრეების დაკავება იყო, გარშემო უსამართლობის მეტს ვერაფერს ვხედავდი და მეშინოდა, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. თუმცა, მთავარი ისაა, რომ არავინ დანებებულა“(აქტივისტი N2, 20.06.2025).*** მოცემული ნარატივი ცხადყოფს, რომ ეს პროცესი ბევრ ადამიანში აღძრავდა შიშს, თუმცა ამის საპირწონედ აძლიერებდა ბრძოლის გაგრძელების მოტივაციას. მასშტაბური გამოწვევების მიუხედავად, პროტესტის ველზე ისინი განიცდიდნენ ძლიერ ერთიანობასა და ურთიერთმხარდაჭერას, რაც აძლიერებდა მათ ძალასა და რწმენას, რომ ერთიანი ძალებით შესაძლებელია ცვლილებების მიღწევა.

დასკვნა

სამოქალაქო აქტივიზმს ჰიბრიდულ რეჟიმებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სწორედ მსგავს რეჟიმებში ხალხის საპროტესტო მოძრაობები ხშირად იქცევა ცვლილებების მთავარ მამოძრავებელ ძალად. ამ კვლევაში განხილული იქნა სერბეთისა და საქართველოს 2024წლის პროტესტები, რათა გარკვეულიყო, როგორ მუშაობს სამოქალაქო აქტივიზმი ჰიბრიდულ რეჟიმებში და რა პირობებში ახერხებს პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებას.

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიასა და ტრიანგულაციურ მიდგომაზე დაფუძნებულმა წინამდებარე ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად რეპრესიებისა, სამოქალაქო აქტივიზმი ძალას იძენს მაშინ, როდესაც არსებობს მასობრივი მობილიზაცია, კოლექტიური იდენტობის ძლიერი განცდა და ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. სერბეთისა და საქართველოს გამოცდილება ცხადყოფს, რომ ჰიბრიდულ რეჟიმებში სამოქალაქო აქტივიზმი იმ შემთხვევაში ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი, როდესაც აქტივისტები ახერხებენ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის კონსოლიდაციასა და საერთო იდეის გარშემო გაერთიანებას.

შედეგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჰიბრიდულ რეჟიმებში სამოქალაქო პროტესტი ჩნდება მაშინ, როცა მოქალაქეები ხედავენ თავისუფლების შეზღუდვას, და მიუხედავად იმისა, რომ სისტემური ცვლილებები იშვიათია, ფართო, ერთიანი და ღირებულებებზე დაფუძნებული აქტივიზმი ქმნის მძლავრ ზეწოლას ხელისუფლებაზე და აყალიბებს მდგრად სამოქალაქო წინააღმდეგობას, რომელიც დემოკრატიული ტრანსფორმაციის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია:

Diamond, L. (2002). Thinking about hybrid regimes. Journal of Democracy, 21–35.

https://muse.jhu.edu/article/17195

Levitsky, S., & Way, L. A. (2010). Competitive authoritarianism: Hybrid regimes after the Cold War. Cambridge University Press.

Howard, M. M. (2003). The weakness of civil society in post-communist Europe. Cambridge University Press.

Tilly, C., & Tarrow, S. (2015). Contentious Politics. Oxford University Press. https://students.aiu.edu/submissions/profiles/resources/onlineBook/e9J8b2_Contentious_Politics-_2_upl.pdf

Petrović Vukelić, J., & Stanojević, D. (2020). Political activism in Serbia: Youth participation and online mobilizations. Südosteuropa, 68(3), 365–385.

https://www.degruyterbrill.com/document/doi/10.1515/soeu-2020-0027/html?lang=en&srsltid=AfmBOooV1KUUGkdhTXeouFaUJ1mPVi1HOw-OjI7Jpz1ibp1_HbKkBSHH

Khoshtaria, T., & Felschifter, V. (2024). Protest Attitudes and Protest Behaviour in Georgia. Caucasus Analytical Digest, (139), 20–35. https://www.ssoar.info/ssoar/bitstream/handle/document/97822/ssoar-caucasusad-2024-139-khoshtaria-Protest_Attitudes_and_Protest_Behaviour.pdf